# სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამართალი |
| პროგრამის ხელმძღვანელი | დიმიტრი გეგენავა, ნინო ქათამაძე |
| სწავლების ენა | ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სამართლის ბაკალავრი |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედი-ტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს). |
| პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი | 28.09.2009<br>№ 02-09/09 |
| პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი | 11.02.2024<br>№ 01-24 |

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

(A) ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
(B) სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

(C) საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
(D) სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
(E) სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
(F) სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

## სწავლის შედეგები

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

(A) ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა, აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის ცოდნა;

(B) სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სანივთო სამართალი; საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები და რომის სამართლის საფუძვლები.

**უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

(C) სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;

(D) იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას;

(E) სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე იურიდიულ შემთხვევათა გადაწყვეტას, თეზისის განვითარებასა და შერჩეული მიდგომის დასაბუთებას, სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებასა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით საკუთარი სამართლებრივი პოზიციების წარმოჩენას; სამართლებრივი კონსულტაციის გაწევასა და პირის ინტერესების დაცვა-წარმოდგენას, როგორც სასამართლოში ისე არასასამართლო დავის შემთხვევაში;

(F) ქართულ და ინგლისურ ენაზე B2 დონეზე ინფორმაციის მოძიებას და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის მის გადაცემას; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი და ზეპირი ფორმით ანგარიშის მომზადებას;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებული:

(G) შეძლებს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებასა და ცოდნის მუდმივად განახლებას;

(H) იცნობს იურიდიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს პირთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

## სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

| |
|---|
| შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.<br><br>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: |

| **ხუთი სახის დადებით შეფასებას:** | |
|---|---|
| (A) ფრიადი | შეფასების 91-100 ქულა; |
| (B) ძალიან კარგი | მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; |
| (C) კარგი | მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; |
| (D) დამაკმაყოფილებელი | მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; |
| (E) საკმარისი | მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. |
| **ორი სახის უარყოფით შეფასებას:** | |
| (FX) ვერ ჩააბარა | მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; |
| (F) ჩაიჭრა | მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |

## შეფასების ფორმები და კომპონენტები

| შეფასების ფორმები და კომპონენტები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| **შუალედური შეფასება, მათ შორის:** | **70 ქულა** |
| წერითი/ზეპირი გამოკითხვა | 30 |
| შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |
| ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია | 10 |
| **დასკვნითი შეფასება** | **30 ქულა** |
| დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |
| სულ | **100 ქულა** |

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

## დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.
კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

*აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე* - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

*საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება

სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც შემდეგნაირად ნაწილდება: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 12 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები არანაკლებ 3 ECTS და არაუმეტეს 6 ECTS, სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული - 15 ECTS, კერძო სამართლის მოდული 52 ECTS, საჯარო სამართლის მოდული 42 ECTS, საერთაშორისო სამართლის მოდული 5 ECTS, სისხლის სამართლის მოდული 26 ECTS, პრაქტიკული უნარების კომპონენტი 16 ECTS, სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები 17 ECTS, თავისუფალი კომპონენტი 12 ECTS, ინგლისური ენის კომპონენტი 24 ECTS, სამართლებრივი ინგლისური 6 ECTS (ძირითადი სპეციალობის საგანი).
უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2) და სამართლებრივი ინგლისური.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2). ინგლისური ენა (B2.2.) წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სამართლებრივი ინგლისურის პროფესიული კურსი, რომლის მოცულობაც 6 კრედიტია.

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ,

სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78 **შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

| |
|---|
| სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს მოდულის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. |

## საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | წინაპირობა | მოდული/საგანი | ECTS კრედიტი | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| **სასწავლო კომპონენტი** | | | | | | | | | | | | |
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | 6/150 | | | | | | | | 31 | 119 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | არ გააჩნია | კომუნიკაცია, პრეზენტაცია, დისკუსიის ტექნიკა | | 6/150 | | | | | | | 32 | 118 |
| **არჩევითი სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | პოლიტიკის შესავალი | 3/75 | | | | | | | | 31 | 44 |
| 2. | არ გააჩნია | დემოკრატია და მოქალაქეობა | 3/75 | | | | | | | | 44 | 31 |
| 3. | არ გააჩნია | მსოფლიო ლიტერატურის შედევრები | 3/75 | | | | | | | | 30 | 45 |
| **ინგლისური ენის კომპონენტი** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | ინგლისური ენა (A1) | 6/150 | | | | | | | | 84 | 66 |
| 2. | ინგლისური ენა (A1) | ინგლისური ენა (A2) | 6/150 | | | | | | | | 84 | 66 |
| 3. | ინგლისური ენა (A2) | ინგლისური ენა (B1.1) | 6/150 | | | | | | | | 84 | 66 |
| 4. | ინგლისური ენა (B1.1) | ინგლისური ენა (B1.2) | | 6/150 | | | | | | | 84 | 66 |
| 5. | ინგლისური ენა (B1.2) | ინგლისური ენა (B2.1) | | | 6/150 | | | | | | 84 | 66 |
| 6. | ინგლისური ენა (B2.1) | ინგლისური ენა (B2.2) | | | | 6/150 | | | | | 84 | 66 |
| 7. | ინგლისური ენა (B2.2) | სამართლებრივი ინგლისური | | | | | | | 6/150 | | 58 | 92 |
| **მოდული - სამართლის საფუძვლები და მეთოდები** | | | | | | | | | | | | |
| **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | შესავალი სამართალმცოდნეობაში | 6/150 | | | | | | | | 49 | 101 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | არ გააჩნია | შესავალი რომაულ სამართალში | 3/75 | | | | | | | | 28 | 47 |
| 3. | არ გააჩნია | ქართული სამართლის ისტორია | | 3/75 | | | | | | | 31 | 44 |
| 4. | შესავალი სამართალმცოდნეობაში, სამოქალაქო საპროცესო სამართალი I | სამართლის ფილოსოფია | | | | | | | 3/75 | | 31 | 44 |
| **არჩევითი სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 5. | არ გააჩნია | სამართლის ისტორია | | 3/75 | | | | | | | 31 | 44 |
| 6. | არ გააჩნია | სამართლებრივი აზრის ისტორია | | 3/75 | | | | | | | 31 | 44 |
| 7. | შესავალი სამართალმცოდნეობაში, შესავალი რომაულ სამართალში | შესავალი მართლმადიდებლურ კანონიკურ სამართალში | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 8. | შესავალი სამართალმცოდნეობაში | შესავალი ისლამურ სამართალში | | | | | | | 3/75 | 3/75 | 31 | 44 |
| 9. | ინგლისური ენა B2.1. | საჯარო გამოსვლის ტექნიკა იურისტებისთვის | | | | | | ს | 3/75 | 3/75 | 30 | 45 |
| **მოდული - კერძო სამართალი** | | | | | | | | | | | | |
| **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | შესავალი სამოქალაქო სამართალში | | 6/150 | | | | | | | 43 | 107 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | შესავალი სამოქალაქო სამართალში | სანივთო (ქონებრივი) სამართალი | | | 6/150 | | | | | | 43 | 107 |
| 3. | შესავალი სამოქალაქო სამართალში | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | | | 6/150 | | | | | | 43 | 107 |
| 4. | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | სახელშეკრულებო სამართალი | | | | 5/125 | | | | | 43 | 82 |
| 5. | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | | | | 4/100 | | | | | 43 | 57 |
| 6. | სანივთო (ქონებრივი) სამართალი, სახელშეკრულებო სამართალი | საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი | | | | | 5/125 | | | | 55 | 70 |
| 7. | სახელშეკრულებო სამართალი | სამოქალაქო სამართლის პროცესი I | | | | | 5/125 | | | | 43 | 82 |
| 8. | სამოქალაქო სამართლის პროცესი I | სამოქალაქო სამართლის პროცესი II | | | | | | 5/125 | | | 43 | 82 |
| 9. | სახელშეკრულებო სამართალი | შრომის სამართალი | | | | | | 5/125 | | | 43 | 82 |
| 10. | სახელშეკრულებო სამართალი | საკორპორაციო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 43 | 82 |
| არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 11. | სახელშეკრულებო სამართალი | საავტორო სამართალი | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12. | სახელშეკრულებო სამართალი | სამრეწველო საკუთრების სამართალი | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |
| 13. | სანივთო (ქონებრივი) სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი II | საერთაშორისო კერძო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 14. | საკორპორაციო სამართალი | სანოტარო სამართალი | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |
| 15. | სახელშეკრულებო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 16. | სამოქალაქო სამართლის პროცესი I,შრომის სამართალი, თანაპირობა: საკორპორაციო სამართალი | ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| **მოდული - საჯარო სამართალი** | | | | | | | | | | | | |
| **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | არ გააჩნია | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | 6/150 | | | | | | | | 49 | 101 |
| 2. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | | 6/150 | | | | | | | 43 | 107 |
| 3. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | ადამიანის ძირითადი უფლებები | | | 6/150 | | | | | | 52 | 98 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I | | | | 5/125 | | | | | 43 | 82 |
| 5. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | | | | | 4/100 | | | | 43 | 57 |
| 6. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II, სამოქალაქო სამართლის პროცესი I | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | | | | | | 5/125 | | | 41 | 84 |
| 7. | ადამიანის ძირითადი უფლებები | საკონსტიტუციო სამართალწარმოება | | | | | | 4/100 | | | 31 | 69 |
| 8. | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | საგადასახადო სამართალი | | | | | | | 6/150 | | 43 | 107 |
| **არჩევითი სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 9. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | სამოხელეო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 10. | ადამიანის ძირითადი უფლებები | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 11. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | საარჩევნო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 41 | 109 |
| 12. | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | სააღსრულებო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი | | | | | | | 4/100 | 4/100 | 34 | 69 |
| 14. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | ადმინისტრაციული სამართალდარღვევები | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 15. | ადამიანის ძირითადი უფლებები | ანტიდისკრიმინაციული სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| მოდული - საერთაშორისო სამართალი | | | | | | | | | | | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 1. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | საერთაშორისო საჯარო სამართალი | | | | 5/125 | | | | | 43 | 82 |
| არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 2. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | ევროკავშირის სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 3. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია | | | | | | | 5/125 | 5/125 | 31 | 94 |
| 4. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |
| 5. | საერთაშორისო საჯარო სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები, ინგლისური ენა B2.2. | გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი (ქართული/ინგლისური) | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6. | საერთაშორისო საჯარო სამართალი, ინგლისური ენა B1.1. | საერთაშორისო საზღვაო სამართალი | | | | | | | 5/125 | 5/125 | 31 | 94 |
| 7. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 8. | საერთაშორისო საჯარო სამართალი, ინგლისური ენა B2.2 | საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 31 | 119 |
| 9. | საერთაშორისო საჯარო სამართალი, ინგლისური ენა B2.2 | დიპლომატიური და საკონსულო სამართალი | | | | | | | 6/150 | 6/150 | 31 | 119 |
| **მოდული - სისხლის სამართალი** | | | | | | | | | | | | |
| **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | შესავალი სამართალმცოდნეობაში | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | | | 6/150 | | | | | | 44 | 106 |
| 2. | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | | | | 5/125 | | | | | 43 | 82 |
| 3. | სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) | | | | | 5/125 | | | | 43 | 82 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) | | | | | 5/125 | | | | 43 | 82 |
| 5. | სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | | | | | | 5/125 | | | 43 | 82 |
| | **არჩევითი სასწავლო კურსები** | | | | | | | | | | | |
| 6. | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) | კრიმინოლოგია | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 7. | შესავალი სამართალმცოდნეობაში, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), ინგლისური ენა B2.1. | დანაშაულის სოციოლოგია | | | | | | | 4/100 | 4/100 | 31 | 69 |
| 8. | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის მეთოდიკა) | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 9. | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 10. | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ადამიანის ძირითადი უფლებები | პოლიცია და ადამიანის უფლებები | | | | | | | 6/150 | 6/150 | 43 | 107 |
| 11. | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები), ინგლისური ენა B2.2 | ვიქტიმოლოგია (ქართულად/ინგლისურად) | | | | | | | 6/150 | 6/150 | 38/43 | 112/107 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **პრაქტიკული კომპონენტი** | | | | | | | | | | | | |
| **სავალდებულო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1. | სამოქალაქო სამართლის პროცესი II, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ინგლისური ენა B2.1 | სამართლებრივი წერა | | | | | | | 5/125 | | 43 | 82 |
| 2. | სამოქალაქო სამართლის პროცესი II, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | საპროცესო უნარ-ჩვევები | | | | | | | 5/125 | | 45 | 80 |
| 3. | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი II, სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | სამართლის კლინიკა | | | | | | | | 6/150 | 29 | 121 |
| | | სემესტრში | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | | |
| | | წელიწადში | 60 | | 60 | | 60 | | 60 | | | |
| | | სულ | **240** | | | | | | | | | |

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| პროგრამის მიზნები | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | A | B | C | D | E | F | G | H |
| სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:<br><br>ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ; | √ | | | | | | | |
| სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:<br><br>სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში. | | √ | | | | | | |
| საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; | | | √ | | | | | |
| სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები; | | | | √ | √ | √ | | |
| სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; | | | | | | | √ | |
| სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი. | | | | | | | | √ |

## პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

| № | მოდული/საგანი | კურსის სტატუსი | | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) | (H) |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | D | P | | | | | + | | | |
| 2. | კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა | D | | | | | | + | | | |
| 3. | ინგლისური ენა (A1) | I | P | | | | | | + | | |
| 4. | ინგლისური ენა (A2) | I | P | | | | | | + | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. | ინგლისური ენა (B1.1) | D | P | | | | | | + | | |
| 6. | ინგლისური ენა (B1.2) | D | P | | | | | | + | | |
| 7. | ინგლისური ენა (B2.1) | D | P | | | | | | + | | |
| 8. | ინგლისური ენა (B2.2) | M | | | | | | | + | | |
| 9. | სამართლებრივი ინგლისური | M | | | | | | | + | | + |
| 10. | შესავალი სამართალმცოდნეობაში | I | | + | + | + | | + | | + | + |
| 11. | შესავალი რომაულ სამართალში | I | | + | + | | | + | | | |
| 12. | ქართული სამართლის ისტორია | I | | + | + | | | + | | | |
| 13. | სამართლის ფილოსოფია | D | | + | + | + | | + | + | | |
| 14. | შესავალი სამოქალაქო სამართალში | I | | + | + | + | | + | | + | |
| 15. | სანივთო (ქონებრივი) სამართალი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 16. | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 17. | სახელშეკრულებო სამართალი | D | | + | + | + | + | + | | + | + |
| 18. | კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | D | | + | + | + | | + | | + | |
| 19. | საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 20. | სამოქალაქო სამართლის პროცესი I | D | P | + | + | + | + | + | | + | + |
| 21. | სამოქალაქო სამართლის პროცესი II | D | P | + | + | + | + | + | | + | + |
| 22. | შრომის სამართალი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 23. | საკორპორაციო სამართალი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 24. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | I | | + | + | + | | + | | | + |
| 25. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | I | | + | + | + | | + | | + | + |
| 26. | ადამიანის ძირითადი უფლებები | D | | + | + | + | | + | | + | + |
| 27. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I | D | | + | + | + | + | + | | + | + |
| 28. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | D | | + | + | + | + | + | | + | + |
| 29. | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | D | P | + | + | + | + | + | | + | + |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30. | საკონსტიტუციო სამართალწარმოება | D | P | + | + | + | + | + | | | |
| 31. | საგადასახადო სამართალი | D | | + | + | + | | + | | + | |
| 32. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | I | | + | + | + | | + | | + | + |
| 33. | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | I | | + | + | + | | + | | + | |
| 34. | სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | D | | + | + | + | | + | | + | + |
| 35. | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) | D | | + | + | + | | + | | + | + |
| 36. | სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) | I | | + | + | + | | + | | + | + |
| 37. | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | D | P | + | + | + | + | + | | + | + |
| 38. | სამართლებრივი წერა | | P | | | + | + | + | | | |
| 39. | საპროცესო უნარ-ჩვევები | D | P | | | | + | + | | | + |
| 40. | სამართლის კლინიკა | D | P | | | + | + | + | + | | + |

**კურსის სტატუსი**

| I – შესავალი კურსები (Introduction) | D - განმავითარებელი კურსები (Developing) | P - პრაქტიკული კურსები (Practical) | M- დაოსტატების კურსები (Master) |
|---|---|---|---|
| | | | |

# პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

| № | საგანი | სწავლის შედეგები | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| | საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | + | + | |
| 2. | კომუნიკაცია, პრეზენტაცია, დისკუსიის ტექნიკა | + | + | + |
| | არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 3. | პოლიტიკის შესავალი | + | + | |
| 4. | დემოკრატია და მოქალაქეობა | + | + | |
| 5. | მსოფლიო ლიტერატურის შედევრები | + | + | |
| | ინგლისური ენა | | | |
| 6. | ინგლისური ენა (A1) | + | + | + |
| 7. | ინგლისური ენა (A2) | + | + | + |
| 8. | ინგლისური ენა (B1.1) | + | + | + |
| 9. | ინგლისური ენა (B1.2) | + | + | + |
| 10. | ინგლისური ენა (B2.1) | + | + | + |
| 11. | ინგლისური ენა (B2.2) | + | + | + |
| 12. | სამართლებრივი ინგლისური | + | + | + |
| | მოდული - სამართლის საფუძვლები და მეთოდები | | | |
| | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 13. | შესავალი სამართალმცოდნეობაში | + | + | + |
| 14. | შესავალი რომაულ სამართალში | + | + | |
| 15. | ქართული სამართლის ისტორია | + | + | |
| 16. | სამართლის ფილოსოფია | + | + | |
| | არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 17. | სამართლის ისტორია | + | + | |
| 18. | სამართლებრივი აზრის ისტორია | + | + | |
| 19. | შესავალი მართლმადიდებლურ კანონიკურ სამართალში | + | + | + |
| 20. | შესავალი ისლამურ სამართალში | + | + | + |
| 21. | საჯარო გამოსვლის ტექნიკა იურისტებისთვის | + | + | + |
| | მოდული - კერძო სამართალი | | | |
| | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 22. | შესავალი სამოქალაქო სამართალში | + | + | |
| 23. | სანივთო (ქონებრივი) სამართალი | + | + | |
| 24. | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | + | + | |
| 25. | სახელშეკრულებო სამართალი | + | + | |
| 26. | კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | + | + | |
| 27. | საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი | + | + | |
| 28. | სამოქალაქო სამართლის პროცესი I | + | + | + |
| 29. | სამოქალაქო სამართლის პროცესი II | + | + | + |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30. | შრომის სამართალი | + | + | |
| 31. | საკორპორაციო სამართალი | + | + | |
| | არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 32. | საავტორო სამართალი | + | + | |
| 33. | სამრეწველო საკუთრების სამართალი | + | + | |
| 34. | საერთაშორისო კერძო სამართალი | + | + | |
| 35. | სანოტარო სამართალი | + | + | |
| 36. | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში | + | + | |
| 37. | ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა | + | + | |
| | მოდული - საჯარო სამართალი | | | |
| | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 38. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | + | + | |
| 39. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | + | + | |
| 40. | ადამიანის ძირითადი უფლებები | + | + | + |
| 41. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I | + | + | + |
| 42. | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II | + | + | + |
| 43. | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | + | + | |
| 44. | საკონსტიტუციო სამართალწარმოება | + | + | |
| 45. | საგადასახადო სამართალი | + | + | |
| | არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 46. | სამოხელეო სამართალი | + | + | |
| 47. | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში | + | + | |
| 48. | საარჩევნო სამართალი | + | + | |
| 49. | სააღსრულებო სამართალი | + | + | |
| 50. | ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი | + | + | |
| 51. | ადმინისტრაციული სამართალდარღვევები | + | + | |
| 52. | ანტიდისკრიმინაციული სამართალი | + | + | |
| | მოდული - საერთაშორისო სამართალი | | | |
| | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 53. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | + | + | + |
| | არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 54. | ევროკავშირის სამართალი | + | + | |
| 55. | ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია | + | + | |
| 56. | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | + | + | |
| 57. | გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი (ქართული/ინგლისური) | + | + | |
| 58. | საერთაშორისო საზღვაო სამართალი | + | + | |
| 59. | ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი | + | + | + |
| 60. | საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | + | + | + |
| 61. | დიპლომატიური და საკონსულო სამართალი | + | + | |
| | მოდული - სისხლის სამართალი | | | |
| | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | |
| 62. | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | + | + | |
| 63. | სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | + | + | |
| 64. | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) | + | + | |
| 65. | სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) | + | + | + |
| 66. | სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) | + | + | + |
| | არჩევითი სასწავლო კურსები | | | |
| 67. | კრიმინოლოგია | + | + | |
| 68. | დანაშაულის სოციოლოგია | + | + | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 69. | კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის მეთოდიკა) | + | + | + |
| 70. | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | + | + | |
| 71. | პოლიცია და ადამიანის უფლებები | + | + | |
| 72. | ვიქტიმოლოგია (ქართულად/ინგლისურად) | + | + | |
| | პრაქტიკული კომპონენტი | | | |
| | სავალდებულო კურსები | | | |
| 73. | სამართლებრივი წერა | + | + | |
| 74. | საპროცესო უნარ-ჩვევები | + | + | + |
| 75. | სამართლის კლინიკა | + | + | + |